გორისმუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 60

2023 წლის 18 აპრილი
ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.52.03.043), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, საქართველოს საპატრიარქოსთვის (ს/კ 204395537) სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს საპატრიარქოს, გორისა და ატენის ეპარქიამ 2021 წლის 8 ოქტომბრის N627 და 2023 წლის 20 იანვრის N700 წერილების შესაბამისად, ითხოვა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშში მდებარე გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული შენობის (ს.კ. 66.52.03.043), სარგებლობაში გადაცემა, სადაც გეგმავენ შენობის რეკონსტრუქცია-რესტავრაციას, საზღვრისპირა სოფლის მოსახლეობისთვის ტაძრის მშენებლობას და სულიერების ცენტრის განთავსებას. გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, აღნიშნული მიზნით უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, საქართველოს საპატრიარქოს სარგებლობაში გადაეცეს სოფელ ქვეშში მდებარე 1038.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 და N2, საკადასტრო კოდი N66.52.03.043.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-6 პუნქტების შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) წლის ვადით, გადასცეს საქართველოს საპატრიარქოს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: სოფელ ქვეშში მდებარე 1038.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები N1 – 436.80 კვ.მ. და N2 – 381.50 კვ.მ., საკადასტრო კოდი: N66.52.03.043.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**